N1904 2015 წლის 7 სექტემბერი ქ. თბილისი

შპს „მარცვლეულის ლოგისტიკის კომპანიის“ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100% წილის მართვის უფლებით, პირდაპირი გადაცემის ფორმით სსიპ - სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრისათვის გადაცემის შესახებ

1. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, შპს „მარცვლეულის ლოგისტიკის კომპანიის“ (ს/კ: №404904458) სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100% წილი მართვის უფლებით, უსასყიდლოდ, პირდაპირი გადაცემის ფორმით გადაეცეს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ - სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევით ცენტრს, არსებობის ვადით.

2. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ, ამ განკარგულების შესრულების მიზნით, უზრუნველყოს შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**